

შპს „ჰიგიენა 2009“-ს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №1

ქ. ბათუმი

08 თებერვალი 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავჯდომარე : გიორგი ხალვაში - შპს „ჰიგიენა 2009“-ს დირექტორი;
სატენდერო კომისიის თავჯდომარის მოადგილე; ნოდარ კონცელიძე - შპს „ჰიგიენა 2009“-ს დირექტორის მოადგილე;
კომისიის წევრი: დავით ფუტყარაძე - შპს „ჰიგიენა 2009“-ს იურისტი;
კომისიის წევრი: თამარ ჩხიკვაძე - შპს „ჰიგიენა 2009“-ს მთავარი ბუღალტერი;
კომისიის წევრი: თეონა ნუმანიშვილი - შპს „ჰიგიენა 2009“-ს შესყიდვების მენეჯერი;
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ნანა წაქაძე - შპს „ჰიგიენა 2009“-ს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სპეციალისტი;
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სოფიო ანანიძე - შპს „ჰიგიენა 2009“-ს ოფის მენეჯერი.

სხდომას უძღვებოდა სატენდერო კომისიის თავჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. შპს „ჰიგიენა 2009“-ს მიერ 2018 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შეფასებს შესყიდვასთან დაკავშირებით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება;
2. სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების განხილვა/დამტკიცება.

მოისმინეს:

კომისიის წევრმა - თეონა ნუმანიშვილმა, სატენდერო კომისიას გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის №01-01-03/55 ბრძანებით დადგენილია, რომ დამფუძნებელ-პარტნიორს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ, ანგარიშთან ერთად უნდა წარუდგინოს საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტორული შეფასება. შესაბამისად, აუცილებელია შესაბამისი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება.

წინამდებარე ოქმის დღის წესრიგით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით, შპს „ჰიგიენა 2009“-ს მიერ ჩატარებული იქნა ბაზრის კვლევა. კვლევის შედეგად შპს „ჰიგიენა 2009“-ს მიერ 2018 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შეფასების მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 5585 ლარი.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. დამტკიცდეს შპს „ჰიგიენა 2009“-ს მიერ 2018 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შეფასების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის (CPV 79200000) ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადება და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 5585 (ხუთიათს ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;
3. შეთავაზების ფასის კლების ბიჯად განისაზღვროს 112 (ასთორმეტი)ლარი;

4. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს არაუგვიანეს 2019 წლის 8 თებერვლისა სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავჯდომარე:



გიორგი ხალვაში

კომისიის თავჯდომარის მოადგილე:



ნოდარ კონცელიძე

კომისიის წევრი:



დავით ფუტყარაძე

კომისიის წევრი:



თამარ ჩხიკვაძე

კომისიის წევრი:



თეონა ნუმანიშვილი

აპარატის წევრი:



ნანა წაქაძე

აპარატის წევრი:



სოფიო ანანიძე